

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

1. საფინანსო და ვალდებულებითი სამართალი - ასოცირებული პროფესორი

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. **საფინანსო და ვალდებულებითი სამართლის** მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა და ასევე:

- საფინანსო და ვალდებულებითი სამართლის სფეროში, საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებისა და სასამართლო პროცესებზე წარმომადგენლობის გამოცდილება;
- კვლევებსა და პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- ინგლისური ენის ცოდნა

უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:

- საკონსულტაციო გამოცდილებით;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული იურიდიული განათლებით.

2.2. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს 2021 წლის 15 იანვრიდან - 2021 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/202813084889464>
6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.
7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2021 წლის 21 იანვრიდან - 2021 წლის 25 იანვრის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2021 წლის 26 იანვრიდან - 2021 წლის 29 იანვრის ჩათვლით**.
8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge